



କାର୍ତ୍ତାପୂର୍ଣ୍ଣ ଜୀବିତଫୋନବ୍ୟାଲୋ ଶ୍ୱରନ୍ଦ୍ରାଳୋ

2
2022



ლოცვის მისახელ

ლოცვა უბრალო ლაპარაკისაგან იმითი გამოირჩევა, რომ ის მიმართულია ღმერთისადმი, რომელმაც შექმნა ყოველზე და იცის, რაც ხდება მსოფლიოში. უფალმა იცის, რაზე ფიქრობს, რას აკეთებს და რაზე ლაპარაკის თითოეული ადამიანი, მან ისიც კი იცის, რაზე ოცნებობს ის. ამ შემთხვევაში, ლოცვა რაღა საჭიროა? — იყითხავთ შენ.

დედამ იცის, რომ გიყვარს, მაგრამ რა ძალიან სიამოვნებს მას, როცა მიხვალ მასთან და ეტყვი ამის შესახებ. ხომ ასეა? მამასაც სიამოვნებს, როდესაც მიხვალ მასთან და დახმარებას სთხოვ რაღაცის გაკეთებაში. მაგალითად, ამოცანის გამოყვანაში ანდა ველოსიპედის შეკეთებაში. მიუწედავად იმისა, რომ მამა ძალიან დაკავებულია, ის სიამოვნებით დაგეხმარება, რადგან უყვარხარ და სიამოვნებს, როცა დახმარებისათვის მიმართავ. შეიძლება, ასეთი რამე ვერ თქვა მშობლების შესახებ, მაგრამ იცოდე, რომ ღმერთს უყვარხარ და მას სიამოვნებს, როდესაც დახმარებისათვის მიმართავ.

მშობლები პატარაობიდანვე ასწავლიან „შვილებს „მადლობის“ თქმას დახმარების ანდა საჩუქრის მიღებისათვის. მათ იციან, რა მნიშვნელოვანია იყო მადლიერი. და არა მხოლოდ მათთან და სხვა ადამიანებთან მიმართებით, არამედ ღმერთთან მიმართებით. ამიტომაც ყოველ ლოცვაში. ჩვენ ვემადლიერებით ღმერთს ყველაფრისათვის, რაც გამარჯვების საკეთო სამოსელისათვის, ჯანმრთელობისათვის, ოჯახისათვის, მეგობრებისათვის. . . იმისათვის, რომ მას ვუყვარვართ, რომ შევგიძლია მიღმართოთ მას და ვიცოდეთ, რომ მას ესმის ჩვენი.

ასევე მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ლოცვის შესახებ შემდეგი. ღმერთს სურს, რომ როდესაც ვლოცულობთ მის მიმართ, მონაწილეობა მივიღოთ იმაში, რის გაკეთებასაც ის აპირებს. მაგალითად, მამა გეუბნება, თუ ჯერაც პატარა ხარ: „შვილო, დროა შემა დავჭრათ!“ შენ სიხარულით ეთანხმები, რადგან სულიერთან რას გააკეთებ, თუ მამის გვერდით იქნები. ხომ ასეა? მამა ჭრის, შენ კი ქმარები. იქნებ მხოლოდ ხელი გვილია ხერხებ. ესეც სასიამოვნო და სასიხარულოა, როგორც შენთვის, ასევე მამისათვის. ან, თუ გოგონა ხარ და დედა გეტყვის, რომ მასთან ერთად გამოაცხო ნამცხვარი ან პური, ხომ მშვენიერია!

ასევეა ღმერთიც. ის ამ ქვეყანაზე ბევრ რამეს აკეთებს. მაგრამ, მას განსაკუთრებით სიამოვნებს, თუ ჩვენ მონაწილეობას ვღებულობთ მის საქმებში. როგორ? — იყითხავ შენ.

ლოცვით. შენ ლოცულობ მეზობლებისათვის ან თანაკლასელებისთვის, რომ ისინი მორწმუნები გახდნენ. და ღმერთი ასრულებს ამას. ლოცულობ ბებიის ან პაპის ჯანმრთელობისათვის, და ღმერთს ესმის შენი ლოცვა (ის, ისედაც დაქმარებოდა მათ, მაგრამ შენთან ერთად უფრო სიამოვნებს ამისი გაკეთება). აი ამით განსხვავდება ლოცვა უბრალო საუბრისგან: ჩვენ ველაპარაკებით ღმერთს, როცა ვლოცულობთ. თვალებიც დახუჭული გვაქვს, რომ სხვამ არავერმა მიიყროს ჩვენი ყურადღება, მუხლებზეც ვდგებით, (თუ ჩვენს ოთახში ვართ), ვინაიდან ჩვენ სამყაროს შემოქმედის წინაშე ვდგევართ და მასთან ვსაუბრობთ! და არ გვეშინა, ვინაიდან ვიცით, რომ მას ვუყვარვართ და ყველას ვისაც გვწამს იგი, თავის შვილებს გვიწოდებს. ის — ჩვენი მამა.

ალბათ ზეპირად იცი ის ლოცვა, რომელიც იესომ გვასწავლა? ამ ლოცვას „მამაო ჩვენო“ წწოდება. თუ ჯერ არ იცი, ისწავლე დღესვე. ეს ლოცვა მათეს სახარების მექვსე თავშია ჩაწერილი.

რომელი პასუხი სტორი



1. ვინ ლოცულობდა
თავისი ცოლისთვის,
რადგან არ ჰყავდათ
შვილები, და იგი
გახდა ტყუპების მამა?
ა) ისააკი
ბ) იაკობი
გ) იოსები

2. ვინ ლოცულობდა
თავისი ძმისთვის,
რომელზედაც უფალი
განრისხდა ქერპთაყვანის-
მცემლობისათვის?
ა) აბელი
ბ) იაკობი
გ) მოსე

3. რა ერქვა იმ უშვილო
ქალს, ვინც ევედრებოდა
უფალს, და აღუთქამდა
მას პირველ ძეს, თუ
მისცემდა მას უფალი
შვილს?
ა) სარა
ბ) რებეკა
გ) ჩანა

4. რა ერქვა
სასიკვდილოდ
დასწეულებულ
ადამიანს, რომელსაც
უფალმა მისი ლოცვის
თანახმად სიცოცხლე
15 წლით გაუგრძელა?
ა) იოსები
ბ) ხიზკია
გ) იობი



5. მეფის აკრძალვის
მიუხედავად ვინ
განაგრძობდა
ლოცვას დმერთის
მიმართ?
ა) დაინიელი
ბ) მორდექაი
გ) ნეემია

6. რა ერქვა იმ
წინაცხარმეტყველს,
რომლის ლოცვის
გამოც, არ ყოფილა
წვიმა სამ-წელ ნახევარი,<
შემდგე კი მისივე
ლოცვის საპასუხოდ
წამოვიდა წვიმა?
ა) იაკობი
ბ) სტეფანე
გ) ნათანი

7. ვინ ლოცულობდა
იმის შესახებ, რომ
უფალს ეპატიებინა
იმ ადამიანებისათვის,
რომლებიც მას
ქოლავდნენ?
ა) იაკობი
ბ) სტეფანე
გ) პავლე

8. ვინ ლოცულობდა
პეტრესთვის, რომ
არ შემცირებულიყო
მისი რწმენა?
ა) იოანე
ბ) ანდრია
გ) იესო

ნახატი ვ. დ.




უფლისგან გამოთხოვილი

გ. ტ.

რამდენიმე ათასი წლის წინ, ძველი ისრაელში, ქალაქ რამაში, ცხოვრობდა კეთილი და ღვთისმოშიში ადამიანი, რომელსაც ელკანა ერქვა. მას ორი ცოლი ჰყავდა, რაც ჩვეულებრივი იყო იმ დროს კულტურისათვის. ერთ ცოლს ერქვა ფერინა, მეორეს კი ხანა. ყოველ წელს, ელკანა თავის ოჯახთან ერთად, ისევე როგორც ყველა ისრაელიანი, ადიოდა შილოში ღმერთის თაყვანისცემისათვის.


ასე მიდიოდა მათი ცხოვრება, და ყველაფერი იქნებოდა ძალიან კარგად, რომ არა ერთი პრობლემა. საქმე იმაში იყო, რომ ფერინას შვილები ჰყავდა, ხანას კი — არა. ისრაელში მრაგალშვილიანობა დიდ კურთხევად ითვლებოდა. ოჯახში განსაკუთრებით ვაჟის გაჩენა ახარებდათ — რომელიც მამის მექვიდრე და შემწე იქნებოდა. ხანასაც ძალიან სურდა ჰყოლოდა შვილები და სწუხდა თავის უშვილობას. ყოველთვის, როცა ქუჩაში ჩაივლიდა, მეზობლების სახლების გვერდით და ხედავდა მოთამაშე ბავშვებს, გულზე სევდა შემოაწვებოდა ხოლმე. რა ძალიან უნდოდა მას, რომ მისი სახლის წინაც ეთამაშათ და ემხიარულათ მის შვილებს! მაგრამ, რისი გაკეთება შეეძლო მას?

ელკანა ცდილობდა მისი ნუგეშისცემას. „ხანა, რატომ ტირი? — ეკითხებოდა მას. — ათ შვილს გერჩივნოს ჩემი თავი?“ მაგრამ უბედურ ხანას ეს სიტყვებიც კი არ აწყნარებდა.



ნახატი ლ. გ.





და აი კვლავ მოვიდა შილოში გამგზავრების დრო ღმერთის თაყვანისცემისათვის. ელკანამ შეკრიბა თავისი დიდი ოჯახი და ისინი ერთად დაადგნენ გზას. ეს მოვლენა დიდად სასიხარულო იყო მთელი ოჯახისთვის, ვინაიდან ღმერთის თაყვანისცემის გარდა მათ ჰქონდათ შესაძლებლობა ენახათ ძველი მეგობრები და ნაცნობები.

შილოში, საწმიდარში, ხანამ მუხლი მოიყარა და სულგამწარებული ევედრებოდა უფალს. ის ამბობდა: „ოუ . . . არ დაიგიწყებ შენს მხევალს და ძეს უწყალობებ, უფალს მივუძღვნი მას მსახურად!“ ხანა უხმოდ ლოცულობდა, ამიტომაც მისი სიტყვების გარჩევა შეუძლებელი იყო, მხოლოდ გმინგა თუ ისმოდა მისგან.

ამ დროს ყელი მღვდელმა, ვინც ემსახურებოდა ღმერთს საწმიდარში, შენიშნა ის. ხანა დიდხანს იდგა მუხლოყრილი, განაგრძობდა ლოცვასა და ქვითინს, ამიტომაც ყელიმ იფიქრა, რომ ის მთვრალი იყო. მიუახლოვდა მას, და შეცადა გაეგო რაში იყო საქმე. „არა, არა! — უპასუხა ხანამ. — მე არ ვარ მთვრალი, დიდი გასაჭირის გამო ვტირი: ღმერთს ძეს შევთხოვ.“

ყელი მიხვდა, რომ ამ ქალს დიდი რწმენა ჰქონდა და გულწრფელად ლოცულობდა. მან დაამშვიდა ხანა და უთხრა: „მშვიდობით გევლოს, დაე, ისრაელის ღმერთმა ისმინოს შენი ვედრება და აგისრულოს სათხოვარი!“ ხანამ დატოვა შილო იმ რწმენით, რომ მალე მიიღებდა პასუხს თავის ლოცვაზე. სახლში დაბრუნებული ხანა იმედით ელოდა სასწაულს უფლისგან.

ყოვლისმემდლე და მოსიყვარულე ღმერთმა ისმინა მისი სათხოვარი და მისცა, რასაც ითხოვდა: ხანამ შეა ნანინანატრი ძე. ეს მართლაც უჩვეულო მოვლენა იყო, ვინაიდან ამდენი წნის შემდეგ მას შვილი შეეძინა. ბიჭს სახელად სამუელი დაარქვეს, რაც წიშნავს „ღმერთმა ისმინა“.

„ის ღვთის მსახური გახდება, როცა გაიზრდება,“ — ამბობდა ხანა თავის შვილზე. და განაგრძობდა ლოცვას, მაგრამ არა უკვე მწუხარების გამო, არამედ ბედნიერების გამო. ხანა ადიდებდა უფალს.

როცა სამუელი წამოიზარდა, ხანამ შეასრულა ღმერთისათვის მიცემული პირობა, და სამუელი ყელისთან მიიყვანა. „აი ჩემი ძვირფასი ძე, რომლის გამოც ვლოცულობდი იმ დღეს, — უთხრა მან მღვდელს. — მე მინდა, რომ ის ღმერთს ეშვახუროს უფლის სახლში.“ ყელი საკმაოდ მოხუცებული იყო, და მას დახმარება ესაჭიროებოდა. მას ჰყავდა ორი ვაჟი, რომლებსაც ცხადია შეეძლოთ დახმარებოდნენ მამას მსახურებაში, მაგრამ სამწუხაროდ ისინი ურჩები იყვნენ და არ ასრულებდნენ უფლის ბრძანებებს. ამიტომაც სამუელი გახდა ყელის საიმედო და ერთგული თანაშემწე.

ხანამ ამის შემდეგ კიდევ გააჩინა სამი ძე და ორი ასული — ასე აღასრულა ღმერთმა მისი სათხოვარი და უპასუხა მის მოთმინებას.

მრავალი წლის შემდეგ, როდესაც სამუელი გაიზარდა, ღმერთმა ის ისრაელის მსაჯულად დააყენა. ღმერთისაგან გამოთხოვილი ბავშვი, არა მხოლოდ დიდი ადამიანი, არამედ დიდი წინასწარმეტყველიც გახდა.

როგორ ფიქრობ?

- რის გამო სწუხდა ხანა?
- რის გაქოთუბა გადაწყვიტა ხანამ?
- ვის შევიძლია მიმართო დახმარებისთვის, როდესაც რალაც არ გამოგდის?

ისტორიას ხანას და მისი ძის შესახებ, იპოვი 1 მეცნეთა წიგნის 1 და 2 თავებში

306 ვარ ამ

ი. ა.

ოდესმე გივლიათ ტყეში? მე — არა. ეს ერთადერთი ადგილია, რომელსაც ჩვენ უყურადღებოდ ვტოვებთ, ვინაიდან ვპინადრობთ გაშლილ სიღრცეებზე: მინდვრებზე, მთებში, ველებსა და მდელოებზე. ჩვენ ისე-დაც იშვიათად ვირჩევთ ჩამოსაჯდომად ხეებსა და ბუჩქებს. ეს კლაჭების განსაკუთრებული აგებულების გამოა. ჩვენს უკანა კლანჭების აქვს საკმაოდ გრძელი სწორი ბრჭყალი, რომელიც დეზს მოგაგონებს, და ეს აძნელებს წვრილ რტოებზე ჯდომას.

ნაკლებადშესამჩნევი სახისა და მცირე ზომის, ბეღურაზე ოდნავ დიდი, გამო, ჩვენ ბეღურასებრთა შემადგენლობას მიგვაკუთვნეს. ჩვენი ოჯახი მოიცავს დაახლოებით 75 სახეობას. ვცხოვრობთ ვერაზიის, ავსტრალიის, აფრიკისა და ამერიკის ტერიტორიებზე.

ჩემი ბუტბულის ფერი არ გამოირჩეა კაშკაშა ფერუბით, თუმცა საკმაოდ მიშჩიდველია. მუცელი თეთრი მაქას, ზურგი კი — ნაცრისფერი. ჩემს ფართო მკერდზე აჭრელებული მოყავისფრო ბუტბულები კრთება. კუდზე თეთრი ფერის ბუტბულები, ხოლო თავზე მცირე ზომის ქოჩორი გაქვს. ასეთი შეფერილობის გამო შემიძლია დაევალო მტრებს, შევინიღო მიწისფრად ანდა ჩაჟამებულ ბალახისფრად.

ცაში, ჩემი ძირითადი მტერი — შევარდენია — რომელიც, მხოლოდ ნაერლისას ნადირობს. მისგან თავის დაღწევას იმ უნარით ვახერხებ, რომ შემიძლია ქვასავით ჩამოვგარდე მიწაზე. თუმცა არა მხოლოდ ცაში, მიწაზეც ბლობად შეავს მტრები. პირველ რიგში მელიები, ყარყუმები, დედოფალები, ქრცვინები.

ნახატი 6. ქ.

გარდა ამისა, ყვავები და ბოლობეჭედებიც ხანდახან ნადირობები ჩემს კვერცხებზე, ასევე უმწეო ბარტყებზეც.

ჩვენ გადამფრენი ფრინველები ვართ, თუმცა ბუღლობის ადგილიდან შორს არ მივდივართ და უკან ერთ-ერთი პირველები ვბრუნდებით. მარტის დასწყისში ჩდება ჩვენი მასიური ჩამოსვლა, როდესაც ჯვრაც თოვლია მიწაზე. ამიტომაც ხალხში მე გაზაფხულის მახარებელს მეძახიან, რომელიც თავისი გალობით ახსენებს მიწათმოქმედებს, რომ ზამთარი მიიღოდა და დროა დაიწყოს საგაზაფხულო საქმიანობა მინდოორში.

უკან პირველად მამლები ჩამოდიან, რომლებიც მაშინვე იწყებენ ბუღლების მოწყობას მიწაზე და მათ გულმოდგინე შენილებებს. მათ კვალში მოჰყებიან დედლები და ირჩევენ „ბუღიან“ მამალს. ორიდან ექვს კვერცხამდე ვდებთ, რომლებზეც დედალი ჯდება და ორი კვირის შემდეგ იჩეკებიან სრულიად უმწეო, ბრძან ბარტყები. თუმცა ისინი სწრაფად იზრდებიან და ზომით 18 სმ-ს, წონით კი 40 გრამს აღწევენ.

ჩვენ სასმელად ნამს ვიყენებთ, ხოლო პირის ჩასაგემრიელებლად მწერებსა და მცენარეების თესლებს. თუმცა ყველაზე მთავარი, რის მიხედვითაც მე მცნობენ, მელოდიური და ხმამაღლალი გალობაა. ღმერთმა მე ეჟვანივით ხმა მომცა, სახელად კი — (Alauda arvensis) — მქვა.

შავი ფვავი

მინდვრის ტოროლა

ველის
ბეღურა

წითერა
მელა

სამიათ გაცხადება

სოფლის გზაზე აუჩქარებლად მიაბიჯებდა ბეი. ის მეგობრებისგან ბრუნდებოდა სახლში. მოულოდნელად მოესმა, როგორ ახსენა ვიღაცამ მამამისის სახელი. ბეი შეჩერდა, უხუცესთა სახლის ახლოს რამდენიმე კაცი იდგა, რადაცაზე ლაპარაკობდნენ. ბიჭს მხოლოდ საუბრის ნაწყვეტები ესმოდა: “როცა გარდაიცვლება მთვარე”... “წარდგენა”,.. “ქურდი”, “იარალი” “ოპიუმი”.

მისთვის ნათელი გახდა: მამამისის მოკელა სურდათ! გასულ წელს ამავე მიზეზით მოკლეს კაცი რომელიც არც ისე შორს ცხოვრობდა მათი სახლიდან. მეტი ახსნა არც იყო საჭირო; საკმარისი იყო, რაც მოისმინა, უხუცესებთან ყოველთვის იკრიბებოდნენ მნიშვნელოვანი საქმის განსახილველად.

ჩქარა გაკიძცე აქედან! — გადაწყვიტა მან — საითმე... სადაც ვერავინ დამინახავს” და გარბოდა, გარბოდა...


ბოლოს, ვეღარ შეძლო სირბილი და დაღლილი მიწაზე დავარდა ბუჩქთან ახლოს. “არა, ეს არ უნდა მოხდეს! ეს შეუძლებელია!” ბეიმ თითებით დაიხშო ყურები, ცდილობდა დავიწყებინა მოსმენილი.

იგი მამაზე ფიქრობდა. წინათ მასთან ხშირად თამაშობდა, ბაშბუკისგან ფლეიტაც კი გამოუთალა დიდი დანით. შურდულის ხმარებაც ასწავლა, როგორ უნდა გაესროლა. ის ხშირად მიდიოდა შვლებზე სანადიროდ სხვა მონადირებთან ერთად ან ხეების მოსაჭრელად.

“დიახ, მაშინ ბეღნიერები ვიყავთ, მაგრამ ეს დიდიხნის წინათ იყო...”— ნაღვლიანად გაიფიქრა ბეიმ. ეს ამბავი იმით დაიწყო, როცა დედა ეკითხებოდა:
“სად იყავიო”, ის პასუხობდა: “მეგობრებთან!”

მალე შინაურებმა შეამჩნიეს, რომ მამა ოპიუმს ქწეოდა, რაც ძალიან სამწუხარო იყო. ოპიუმი საშიში შხამია და ამავედროს ძვირადღირებული. როცა მამას მის საყიდლად ფული აღარ ყოფნიდა, ჯერ ქათმების გაყიდვა დაიწყო, შემდგვ ღორიც მიაყოლა და ბოლოს, ოჯახის კუთვნილ ბრინჯის პატარა მინდორიც. მეზობლის ქათმები გაქრნენ, ბიძამისის გლეს ქათმებიც და უმცროსი ბიძის ძროხაც.

ბეის გაახსენდა, რომ რამდენიმე კვირის წინ სოფლის გამგებელი ძალიან განრისხებული იყო, რადგან ვიღაცამ კამეჩი მოპარა, რითიც წყალს ეზიდებოდნენ. ვეღლა მამამისზე ეჭვობდა, ის კი აქამდე სახლში არ ბრუნდებოდა.



დიახ, მისი საყვარელი მამა ოპიუმ-
მა აქცია ქურდად. მან უნდა გადააგდოს
ნარკოტიკის მოწევა, ან მკაცრი სასამართ-
ლო ელოდება. დამით ვინმე იარაღს ესვრის
და მოკლავს, როცა მთვარე მეორედ “გარდა-
იცვლება”

ოპიუმის მოწევის შეწყვეტას ის სრულად ვერ შეძ-
ლებდა. ბეიმ კარგად იცოდა, რომ მკვლელი ნარკოტიკი
თანდათანობით დაღუპავდა ადამიანს.

უფროსებმა იცოდნენ, სად იმყოფებოდა მამამისი? ბეის
ფიქრები ისევ და ისევ იმ სიტყვებს უბრუნდებოდა: “როცა გარ-
დაიცვლება მთვარე”. მან გადაწყვიტა, ყველაფერი ეღონა მამის
გადასარჩენად.

ბახ...ბახ... ბახ... ბეიმ თვალები გაახილა. ბაშბუკებისგან შეკრულ
კედლების ღრიმებიდან და ღრი კარიდან კარგად მოჩანდა საესე მთვარე.

ჯერ კიდევ ბნელოდა, მაგრამ მეორე მხრიდან ცეცხლი მოჩანდა, ეს ბეის დედა
იყო, რომელიც უკვე ამდგარიყო და ბრინჯს ცეცხლდა საუზმისთვის. ორ მმასა და
ორ დას ისევ ეძინათ. ბეიმ გვერდი იცვალა. საუზმემდე დიდი დრო იყო დარჩენილი.
ბრინჯს ჯერ დაცემა სჭირდებოდა, მერე ცეცხლზე მოტარება და მოხარშვა. დედას
წიწაკაც უნდა დაეწაყა.

წიწაკა, ყოველთვის წიწაკაა, როგორ მოსწყინდა ბეის, ყოველდღე, ყოველთვის ერთი და
იგივე! ადრე მამას იშვიათად, მაგრამ ვირთხა და ბაყაყები მოჰქონდა. ოპ, რა გემრიელი
იყო! რამდენი დღეა ის მამას თვალითაც ვერ ხედავს.

ამ ფიქრებმა ბეი თითქოს გამოაღვიძა. ცეცხლი ეკიდებოდა, როცა იხ-
სენებდა, რაც გუშინ მოისმინა. მისი პატარა გული შიშისგან ბა-
გუნობდა. ამის შესახებ არავისოთან ულაპარაკია. მაგრამ

მას უნდა მოეფიქრებინა როგორ გადაერჩინა

მამა, სანამ მთვარე “გარდაიცვლე-
ბოდა”.



ის იმდენად დამძიმებული იყო თავისი ფიქრებით, რომ ვერც კი შეამჩნია უფროსმა დამ ნანგიმ როგორ ჩამოიღო კედლიდან ბამბუკის ტაბაკი და ზედ მოხარშული ბრინჯი მოათავსა. ბევრი იმდონებდა, რომ მისი და გამოაფხიზებდა ამ საშინელი ძილიდან. ერთადერთ ფინჯანში ჩაყარა დანაყილი წიწაკა, ჩადო კოუზი და შუაგულ ტაბაკზე მოათავსა.

— ბევრი, ზარმაცო, ადექი, უნდა ვჭამოთ — დედის ხმაში მოფერება არ ჩანდა. ბევრი მიჩვეული იყო ყველაფერ ამას, მაგრამ ამ დილით გაიხსენა, დედა წინათ როგორ იღიმებოდა და მხიარულიც იყო ხოლმე. დიდიხანია, რაც დედა მხოლოდ ჩხუბობდა და იმდურებოდა. ეს იმ დროიდან დაიწყო, რაც მამა ხშირად სახლიდან იკარგებოდა.

ბევრი წამოხტა და თვალები მოიფშვნიტა. მათ ოჯახში ლეიბები იატაკზე იყო გაშლილი ყველანი იმავე ტანსაცმლით წვებოდნენ, რითიც დადიოდნენ დღისით. ბევრი მხოლოდ წამოდგომა და ხელებზე წყლის გადავლება სჭირდებოდა. ამით მთავრდებოდა დილის ტუალეტი.

დედა, ნანგი, ჯო, ლონგი, ბევრი უკვე იატაკზე ისხდნენ შავი ტაბაკის გარშემო და ჭამდნენ ბრინჯს. ბევრი იღავვით გასწია ლონგი და მის გვერდით დაჯდა.

საუბარი არავის სურდა. დედა და ნანგი ბრინჯის ყოველ აღებაზე წიწაკას ატანდნენ. ბევრი თითქმის არაფერი უჭამია. ის ადგა და ჯოს გაჰყვა, რომელიც უკვე დანაყრებული იყო. სწრაფად დალია ერთი ყლუპი წყალი და ორივენი კიბეზე დაეშვნენ, ეზოში ჩავიდნენ.

მალე ოჯახის ყველა წევრმა დაამთავრა ტრაპეზი. ჭამის შემდეგ ტაბაკს ციფი წყალი მოავლეს და კედელზე დაკიდეს.

— ბევრი, შენ ლონგსა და ბიის უნდა მიხედო, - შეახსენა დედამ.

მან ქვაბიდან აიღო ცოტაოდენი ბრინჯი და ბანანის ფოთოლში შეახვია. ეს იყო მათთვის მინდვრის საღილი.

— აქ რაც არის, თქვენ გეყოფათ, მხოლოდ იმაზე ადრე არ დაჯდეთ სადილად, სანამ მზე ჩვენი სახლის თავზე არ დადგება. გასაგებია, ბევრი?

— როდის დაბრუნდებით სახლში?

— როცა მზე ტყის თავზე დადგება. ხომ იცი, რა შორს არის თქვენი უმცროსი ბიძის ბრინჯის ყანა. ნანგი, ჯო, წამოდით, უკვე დროა! ბევრი მანამდე უყურებდა მათ, სანამ ბიი არ აყვირდა. რატომ ტირის ყოველთვის, როცა დედა მიდის? უკმაყოფილო ბევრი კიბით ავიდა ტერასაზე, აიღო დიდი საფარებული, რომელსაც დამით იფარებდა.

— გაჩუმდი ბიი, მე ხომ აქა ვარ, ლონგიც აქ არის, მოღი აქ!

გადასაფარებელზე დააწვინა მტირალი და ზურგზე წამოიკიდა და დაიწყო მისი წინ და უკან ტარება. ამით დაამშვიდა გოგონა და ცოტა ხანში დააძინა. მერე ფრთხილად დააწვინა ტერასაზე მძინარე დაიკო. ბოლოს და ბოლოს გამოუჩნდა დრო სოფელში წასასვლელად. ლონგიც დიდიხანია, რაც სათამაშოდ გაიქცა ამხანაგებთან.

შარიქა და ფუძულა

ნიკას ხელ დაბადების დღე აქვს, 12 წლის ხდება, ძალიან გახარებულია, რადგან მამა სიურპრიზს დაპირდა. ნეტავ, რა იქნება ეს! იქნება ახალი ველოსიპედი? ან ახალი ბურთი? შეიძლება ახალი სათა-მაში — ფიქრობდა ის. და აი გათენდა ნანატრი დღე. დილით მამას ხმაშ გააღვიძა, მამას დიდი ყუთი ეჭირა ხელში, რომელიც ნიკას მიაწოდა. აღელვებულმა ნიკამ სწრაფად გახსნა ყუთი. ნეტავ რა იდო მიგ? ნიკაც ასე ფიქრობდა, რომ ყუთში „რაღაც“ იდო, მაგრამ ყუთიდან წითელბანტიანმა თეთრმა ლეკვმა ამოყო თავი. ნიკა გაოცდა, ეს საჩუქარი ყველა იმ ნივთს ჯობდა, რომელიც წარმოედგინა.

— აბა, რას დაარქმევ შვილო? — ჰკითხა მამამ.

— შარიკას! — თქვა გაბრწყინებულმა ნიკამ.

ნიკამ სკოლის შემდეგ, მთელი დღე შარიკასთან თამაშს დაუთმო. სულ შარიკას ეთამაშებოდა. ერთ დღესაც, როგორც ყოველთვის შარიკას დაემშვიდობა და სკოლისკენ გაემართა. გა-კვეთილების შემდეგ, სახლში მოიჩქაროდა, უცრად რაღაც ხმა მოესმა, ნიკა გაჩერდა, სმენა დაძაბა. ხმა ნაგვის ყუთიდან მოდიოდა. მართალია, ეჩქარებოდა, მაგრამ ცნო-ბისმოყვარეობამ სძლია და ჩაიხედა. ერთი ტომარა დაინახა, ხმა აშკარალ იქიდან ამოდიოდა. ტომარას თავი მოხადა და შიგნით რაღაც გატოკდა და დაიკნავლა. ხმაზე მიხვდა, რომ კატა იყო, მაგრამ საშინლად მტვრიანი. სახლში წაიყვანა საწყალი. დედამ აბანავა და პოი საოცრებავ, ფისო ლამაზესი იყო თეთრი ქათქა-თა და ხშირი ლამაზი ბეწვით. ნიკამ ამის გამო ფუმფულა შეარქვა. თავიდან კატის დატოვებას არ



აპირებდა, მაგრამ შეეჩვია და ვეღარ გაუშვა. თუმცა იყო ერთი პრობლემა, ფუმფულა და შარიკა სულ ჩხუბობდნენ. ხან რომელი მოერეოდა, ხან რომელი. ამის გამო, ორივენი ამოგანგლულები იყვნენ. ნიკა დაიღალა მათი გასუფთავებით. თუთო ბეჭვს ტალაზი ძნელად შორდებოდა. ერთ დღესაც შარიკა აღარ გამოჩნდა. ნიკამ ყველგან ეძება, მაგრამ ვერ იპოვა. მამამ დაამშვიდა და დაპირდა, რომ ხვალ მოძებნაში დაეხმარებოდა, მაგრმა ძიება უშედევო აღმოჩნდა. შარიკას კვალიც არ ჩანდა. მესამე დღეს ნიკა ფუმფულას კნავილმა გააღვიძა და არ მოეშვა სანამ არ ადგა.

— გშია ფუმფულ?

— მიაუუ...

ნიკამ საჭმელი მოუტანა, მაგრამ ფისომ პირიც არ დაადო.

— გინდა გეთამაშო?

— მიაუუ. მიაუუ..

— იქნებ შარიკა მოგენატრა, მაგრამ ეგ შეუძლებელია, თქვენ ხომ სულ ჩხუბობდით.

— მიაუუუუ...

ფუმფულამ რამდენჯერმე შემოუარა ნიკას და შემდეგ ეზოსკენ წავიდა. გაჩერდა და კვლავ კნავილით შეხედა მას. ნიკას უცნაურად ეჩვენა ეს და გაჰყვა უკან. ფუმფულა ტყისკენ წავიდა და დიდი მაყვლის ბუჩქის ქვეშ შეძვრა. ნიკამ შეიხედა და იქიდან შარიკას ყეფა მოესმა. სასწრაფოდ მამას დაუძახა. საწყალი ცუგა თურმე ეკლებში გახლართულიყო. მამამ გამოიყვანა “შარიკა.“ სახლში წაიყვანეს, დაბანეს და აჭამეს, ჭრილობები დაუმუშავეს. ფუმფულას წყალობით შარიკა გადარჩა. ამის შემდეგ მათ აღარ უჩხუბდიათ. პირიქით საუკეთესო მეგობრებად იქცნენ. უერთმანეთოდ საჭმელსაც კი აღარ ჭამდნენ. დიახ, ხშირად კამათი დიდი მეგობრობის დასაწყისი ხდება.



ეპიზოდი ვაჟისთი

პ. უ.



ყველა ბავშვი, მგოგოსა და ტემბოს გარდა, ბაობაბთან შეიკრიბნება.

— ბოლოს და ბოლოს ისინიც მოვლენ! — წამოიძახა ელიზაბეტმა.

მგოგო და ტემბო ნელა მიდიოდნენ ბავშვების მიმართულებით.

— იჩქარეთ! — დაუძახეს მათ კალიმ და ტალიმ.

— სწრაფად არ შევვიძლია, — უპასუხა ტემბომ. — დაღლილები ვართ.

როდესაც მივიდნენ შეკრუბილებთან, მათ მუხლი მოეკეცათ დაუდის წინ, რომელიც ჯუნგლების ექიმის თანა-

შემწე იყო.

— დაუდი, ჩვენ აღარ შეგვრჩა ძალა! — თქვა გოგომ. — ჩვენ დღეს ბევრი დასახლება მოვიარეთ და ბევრ აღამიანს ვესაუბრეთ ყვავილის შესახებ. ტემბომ თანხმობის ნიშნად თვე დაიქნია:

— ჩვენ გაგვიჭირდა მათთვის ყველაფერი გასაგებ ენაზე გვეთქვა. . .

— პო მაგრამ, ეს საქმე ამად ღირს, — მოწონებით თქვა დაუდიმ. — თუმცა მე მეტვენება, რომ თქვენ რაღაც დაივიწყეთ ახლა მოისმინთ იმის შესახებ, რა შეცდომა დაუშვა ანტილოპა დიკ-დიკმა.



ერთხელაც მოუხერხებელი ხიფი, მაიმუნ ტოტოს ნათესავი, ხეებზე დაძვრებოდა ჯუნგლებში. ერთი ხიდან მეორე ხეზე გადახტომის დროს, მას უცებრტო მოუტყდა.

მაიმუნი სწრაფად გადახტა მეორე რტოზე. მაგრამ, როცა ისიც გატყდა, ხიფი კუდით ჩამოეკიდა ხის სქელ ტოტს, რომელიც მყარი ჩანდა, თუმცა არ აღმოჩნდა ასეთი. ის თეთრი

ჭიანჭველების მიერ იყო გამოხრული. ხიფი მიწაზე დაეცა. არაფერი უტკენია, თუმცა ცხადია სულაც არ იყო სასიამოენო მიწაზე დანარცხება. ამ დროს კი ის ტოტი, რომელმაც



დაბლა ჩამოაგდო, თავზე დაეცა. „პმ, — ჩაიბურტყუნა პიპოპოტამმა ბუხუმ, — საბერინიეროდ, ტოტი მას მხოლოდ თავში მოხვდა, არადა ხომ შეიძლებოდა ხიფის ფეხი მოეტქა.“

მაიმუნი იწვა მდგლოზე და დაბნეული ატრიალებდა თვალებს. მოდი წავიყეან ხიფის იმ ხესთან, რომელზეც მისი ოჯახი ცხოვრობს, — თქვა ანტილოპა დიკ-დიკმა.


თუმცა ეს არც ისე ადვილი გამოდგა, როგორც ის ფიქრობდა. ხიფი საკმარი მძიმე გამოდგა; გარდა ამისა, ანტილოპაზე ჩაბლაუჭებული ის გამუდმებით ყვიროდა: ეძახდა ბიძია ნიანის და ითხოვდა ბანანს.



ზურგზე მაიმუნა კიდებული დიკ-დიკი საშინლად დაიღალა. ჯუნგლებში მიმავალი ეს ბილიკიც აღარ თავდებოდა. საწყალი ანტილოპა სულ უფრო და უფრო ნელა მოძრაობდა.




მაიმუნა კიდევ უფრო ხმამაღლა მორთო ყვირილი, ბანანს ითხოვდა. „ხიფი საქმაოდ სქელია მაიმუნის კვალბაზე,“ — შენიშვნა ჰიპოპორტებმა ბუხუმ. დიკ-დიკია არაფერი უპასუხა



ნიდა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. მხოლოდ „პმ-ს“ იძახდა და სულ ეგ იყო. დიკ-დიკი სევდიანად ფიქრობდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაელახა ამ მძიმე ტკირთით დარჩე-



სპილომ თვალი ჩაუკრა მას და დაბალი, ღრმა ხმით წარმოთქვა: „გინდა, მე გატარებ შენ ჩემი ზურგით, დიკ-დიკ? მე საკმაოდ ძლიერი ვარ.“ ან-



უქები უცახცახებდა დაძაბულობისგან. „პმ, — ბუხლუნებდა მის უკან მიმავალი ბუხუ. — ხიფი, როგორც ჩანს, საკმაოდ მძიმეა. გატყობ, ლამისაა წელში გაწყდე. . .“



და ბუხქის ჩრდილში მიწვა. „პმ, შენთვის უფრო ადვილი არ იქნება, თუ მას ბანანის ფოთოლზე დასკამ და ისე გასწვე?“ — შესთავაზა ბუხუმ. დიკ-დიკი შეეცადა ისე გაეკეთებინა, როგორც



ნილი მანძილი. ხიპიმ კვნესას უმატა. მხე აცხუნებდა. ბუხუც ისევ მხოლოდ თავს იქნევდა, ხოლო დიკ-დიკი ხვნეშოდა. უცებ ანტილოპამ წამოიყვირა: რაღაც ამოძრავდა მისი ზურგის



ტილოპამ მაღლიერების ნიშნად თავი დაიქნია. და აი ხიფი აძვრა დიკ-დიკის ზურგზე, ხოლო სპილო ნემბომ ორივე ასწია




აქოშინებულმა დიკ-დიკმა უპასუხა: „პო, ის მძიმეა. უკვე კისერი მტკიცა, და სადაცაა მუხლი მომეკვეუბა!“ ანტილოპა გაჩერდა დიდი ბუხქის ჩრდილში და ხიფი ჩამოსკა დაბლა.




ბუხუმ შესთავაზა. მაგრამ ხიფი თავი შორს დაიჭირა ამ მეთოდისგან. ბუხუმ თავი გააქნია: „მ-და, ასე არ გამოდება. ალბათ, ის თავს ცუდად გრძნობს...“ ბუხუ ერთ ადგილს ტკეპ-




უკან. ბუხქების ქვემოთ გამოჩნდა გველისმაგვარი ჩრდილი, რამაც მაიმუნ ხიფის შიშისხარი მოჰკვარა. თუმცა დიკ-დიკი მაშინვე მიხვდა, რომ ეს სპილო ნემბოს ხორთუმი იყო.



და დასვა ისინი თავის ზურგზე. სულ მალე დიკ-დიკის კმაყოფილი ხმა გაისმა.




გრილი ნიავი სასიამოგნოდ ელამუნებ-ბოდა მათ. ბუხუ მათ უკან მიღიოდა და ბურტყუნებდა: „ასე უკეთსა მართლაც... მეც ამასვე გავაკეთებდი, დიკ-დიკ. თუმცა პიპოპოტამს ერთი ნაკლი



აქვს. — მან ნერწყვი გადაჭლაპა და განაგრძო: — მე არ მაქვს ხორთუმი...“ სანამ ისინი გზაზე მიღიოდნენ, ბუხუმ შენიშნა, რომ დიკ-დიკის ზურგი კვლავ გაიღუნა: „პმ, რა ხდება დიკ-



დიკ, შენს თავს“ ანტილოპამ კვლავ იგრძნო ძლიერი ტკიფილი ზურგში. ის მოთმინებით ცდილობდა დაეკავებინა თავისი ტკირთი — მაიმუნი, რომელიც ისევ არ ისვენებდა და ჭუჭუნებდა.



ბოლოს და ბოლოს დიკ-დიკი მიხვდა, რომ ვეღარ დაიჭერდა ხიფის. გაიგონა რა მათ უკან მიმავლი ბუხუს ბურტყუნი, ანტილოპამ თავი მიატრიალა მისკენ. ამან კიდევ უფრო დიდი ტკიფი-



ლი მოჰვერა მას, თითქოსდა მისი ზურგი ვიღაცამ გადატეხა. მაიმუნმაც დაიწყო მისი ზურგიდან ჩამოცურება. ხიპი ცდილობდა ბრჭყალებით სპილოს კისერს მოსჭიდებოდა, მაგრამ




ამას ვერ ახერხებდა: როცა იგრძნო, რომ ვარდებოდა: — „მიშველეთ! — დაიყირ ხიფიძი. — მიშველეთ! და მყისვე დაიჭირა ის ძლიერმა ნებიომ. „რაღატომ ზის ის კვლავ



შენს ზურგზე?“ — იყითხა სპილომ. დიკ-დიკი ვერაფერს ამბობდა. „იცოდე, დიკ-დიკ, შენ პრობლემები გექნება ზურგზე,“ — ღრმააზროვნად შენიშნა ბუხუმ. „დიკ-დიკ, შენ ხომ



მომენდე, რომ მეტარებინე. რატომ არ გადოსვამ ხიფის ჩემს მხრებზე? იქ ხომ საქმარისი ადგილია ორივესთვის,“ — წყნარად თქვა ნებიომ. „პმ, ცხადია, — გაისმა ბუხუს ხმა. — ამის



თქმა მინდოდა მეც.“ ის გაჩუმდა და გაიგონა, როგორ დაიხარა დიკ-დიკი ნებოსკენ და ყურში ჩასჩურჩულა: „ძალიან სასიამოგნოა ამისი მოსმენა შენგან, მაგრამ განა



შემეძლო მეთხოვა შენთვის, რომ ჩემი ტკირთიც შენ გეტარებინა?“ სპილომ გულიანად გაიცინა: „აბა დაფიქრდი, დიკ-დიკ! დაფიქრდი!“ და როცა ნემ-



ბომ დაინახა, როგორ გადასვა ანტილოპამ თავისი ტკირთი მის ზურგზე, თვალი ჩაუკრა მას. ასე აგრძელებდნენ გზას. მზე ისევ აცხუნებდა. გზა



მიიწვედა, თუმცა ხიპი აღარ ჭუჭუნებდა, რადგან ამ რწევაში მას ჩასინებოდა სპილოს ფართო ზურგზე.



დიკ-დიკმა ფტები მოიკეცა და თავი ნებოს დააღო. ის თვის ქვეშ სპილოს ძლიერი შხრების მოძრაობას გრძნობდა; ამ მხრებს მიჰყავდათ ის და ზიფი წინ. ანტილოპა გახარუბული იყო. „პმ,

რატომ თავიდანვე ასე არ მოიქეცი? — იკითხა ბუტუმ. — რატომ თავიდანვე არ ჩამოსევი მაიმუნი შენი შხრებიდან?“ დიკ-დიკმა მას არაფერი უპასუხა. თუმცა დაფიქრდა მის შეკითხვაზე. ამ

დროს ანტილოპამ გაიგონა ნებოს ხმა: „შემდგში, როცა მძიმე ტვირთს შეჭიდები, გაიხსენე ეს შემთხვევა.“

მგოგოს ხელში ბიბლია ეკავა. როცა დაუდიმ დაამთავრა თავისი მოთხოვბა, ბიჭმა თქვა:

- მე და ტემბო სწორად მოვიქცეოდით, თუ დახმარებას ვითხოვდით ლოცვაში.
- ახლა მესმის ეს. მე წავიგითხე ამის შესახებ ბაბლიაში. იქ დაწერილა, რომ ჩვენ შეგვიძლია ჩვენი ტვირთი უფალს მივანდოთ, და ის თავად ატარებს მას.
- ღმერთი იმასაც ამბობს, — დაამატა ელიზაბეტმა, — რომ ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს, რადგან ის ჩვენთან არის. ის მოგვცემს ძალას და დაგეხმარება.
- იესომ თქვა, რომ ის ყოველთვის ჩვენთან იქნება, — თქვა ლისომ.
- სწორია, — გაიღიმა დაუდიმ. — ხედავთ, როგორ გვემარება ბიბლია!
- განა ვინძეს სურს, რომ თავად ატაროს თავისი ტვირთი? — იკითხა მგოგომ.
- ვფიქრობ, რომ დიკ-დიკი საერთოდ არ დაფიქრებულა ამის შესახებ! — წამოიძახა იუდიტმა.
- სპილოს ასე თუ ისე, ხომ მაინც მიჰქონდა მისი ტვირთი.
- სწორია, ახლა ვხედავ, რომ თქვენ გესმით ეს, — გაეღიმა დაუდის.

ნახატი ო. პ.

სასარგებლო რჩევა

ილაკარაკა ივსოსთან
ყველაფრის შესახე,
რაც ვან გაღილვებას.
ეს ვარს შეი.



სემუელ სტონდი

1791–1872

მის მეგობრებს შორის იყვნენ ცნობილი
პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, მწერლები,
სწავლულები. ისინი ერთმანეთთან
დაახლოვა ღმერთის ღრმა რწმენამ.


ამ ოჯახში ყველა შემოქმედებითი ნიჭით იყო და-
ჯილდოვებული, თუმცა სრულიად განსხვავებული ინ-
ტერესები ჰქონდათ. მაგალითად, სემუელის ძმა იყო
მქადაგებელი, ცნობილი სწავლული და იმ დროისათ-
ვის გეოგრაფიის პოპულარული სახელმძღვანელოს
ავტორი. ხოლო მომავლი შემოქმედი ცნობელი ან-
ბანისა, რომელსაც ეს სახელი მისვე საპატივსაცემოდ
შეარქეს, არა მხოლოდ გატაცებული იყო ფიზიკითა და
ელექტროტექნიკით, არამედ შესანიშნავადაც ხატავდა.
1813 წ. მის ტილოს „მომაკვდავი ჰერკულეს“ ლონ-
დონში სამეცნი სამხატვრო აკადემიის ოქროს მედალი
მიენიჭა, ხოლო მისი ერთ-ერთი ტილო დაცულია თეთრ
სახლში, გაშინგტონში.

ბავშვობა და სიჭაბურე

სემუელი დაიბადა პატარა ამერიკულ ქალაქ ჩარლ-
სტაუნში (მასაჩუსეტსის შტატი). მისი ოჯახი მორ-
წმუნე იყო და რეგულარულად ესწრებოდა დავთისმსა-
ხურებას პროტესტანტულ თემში, სადაც მამამისი
წარიდა მსახურებას. ბიჭი ცნობისმოყვარე გამოდგა,



სახლი ჩარლსტაუნში, სადაც დაიბადა სემუელ
მორზე. ფოტო 1898 წ.



სემუელ ფინლი ბრიზ მორზე
1857 წ.

განსაკუთრებულ ინტერესს ამჟღაუნებდა შხატვრობი-
საღმი და ელექტრომაგნეტიზმის ცდებისაღმი. დაას-
რულა რა პრესტიჟული იელის კოლეჯი, ახალგაზრდა
კაცება მუშაობა დაიწყო გამომცემლობაში.

თუმცა ფერწერა მას სულ უფრო მეტად იზიდავდა.
მალე მისმა სურათმა „პილიგრიმების ჩამოსვლა“ —
რომელიც ამერიკის პირველ მოსახლეებს ქვებოდა,
მიიდყრო ცნობილი შხატვრის კურადღება, რომელმაც
დაარწმუნა შმობლები
ფერვილი სასწავლებ-
ლად გაეშვათ ევროპაში
— რათა მას შესწავლა
შხატვრობა ლონდონის
სამეცნი სამხატვრო აკა-
დემიაში.

სწავლის დამთავრე-
ბის შემდეგ სემუელი
დაბრუნდა სამშობლოში
და ცხოვრების სახსარს
შოულობდა, შეკვეთილი
პორტრეტების ხატვით.
ამ საქმიანობას ცირკ
შემოსავალი მოჰკონდა,
თუმცა იძლეოდა მრავა-
ლი ნაცნობის შეძენის შესაძლებლობას. მის ნაცნობებს
შორის იყვნენ პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, მწერ-
ლები, სწავლულები. მისი ერთ-ერთი ახლო მეგობარი
გახდა რომანების ავტორი ინდიელების შესახებ, ფენი-
მორ კუპერი. ამას გარდა მორზეს ახლო ურთიერთობა
ჰქონდა პრეზიდენტი ლინკოლნთან. ისინი იყვნენ ღრმად
მორწმუნე ადამიანები, და ჩანს, რომ ამან დაახლოვა
ერთმანეთთან.



მომაკვდავი
ჰერკულესი. მხატვარი
სემუელ მორზე, 1813 წ.

ტელეგრაფის გამოგონება

ერთხელ, როცა მორზემ ხანგრძლივი მოგზაურობა დასრულა გემით, იგი გაეცნო შეზარების ჯგუფს, რომლებიც ელექტრობასთან დაკავშირებულ ცდებს აჩვენებდნენ. მორზემ გაიხსენა თავისი გატაცება ფიზიკოთ კოლეჯში სწავლის დროს. მისი განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ელექტრო დენის თვისებამ, წამიერად გადაელახა ყოველგვარი მანძილი. „ნუთუ არ შეიძლება მისი გამოყენება ინფორმაციის გადასაცემად?“ — დაუიქრდა მორზე. საქმე იმაშია, რომ მანამდე ცოტა წესის აღრე მან დაკარგა საყვარელი მეუღლე; ის მოულოდნელად გარდაიცვალა. წერილმა, რომელიც იუწყებოდა, რომ ის ავად იყო, ძალიან დააგვანა, და მორზემ ვერ მოასწორო მასთან გამოშვიდობება.



პროგრესის კაცები. მხატვარი კ. შუსელი 1862 წ.
მორზე ტელეგრაფთან ერთად (ცენტრში), მის
ირგვლივ კი ცნობილი გამომგონებლები.

უკვე გეშე ყოფნისას გააკეთა მორზემ თავისი პროექტის პირველი ესკიზები — მანძილზე ელექტრო სიგნალების გადაცემის აპარატისა. ელექტრომაგნიტური ტელეგრაფი იქმნებოდა როგორც და დიდხანს — 12 წერს. ბოლოს და ბოლოს მორზემ მიიღო ამერიკული პატენტი თავის გამოგონებაზე. თუმცა მისი გამოყენება ვერ ხერხდებოდა: ის არავის სჭირდებოდა! ავტორი თავის აპარატს სთავაზობს საფრანგეთის, ინგლისის, რუსეთისა და ამერიკის მთავრობებს. კერა გაკირვებული და აღტაცებული იყო, თუმცა არ ჩქარიბდნენ სიახლის გამოყენებას: ეს ძალზე კარგია, თუმცა გაუგებარი და დიდ თანხებს მოითხოვს. ბოლოს, 1843 წერს ამერიკის კონგრესმა მიიღო სატელეგრაფო ხაზის შექნებლობის გადაწყვეტილება გაშინგტონსა და ბალტიმორს შორის, მანძილი იყო 60 კმ. მორზე, თავისი პირველი პროექტის განხორციელებას დიდი მოწადინებით შეუდგა და უკვე ერთი წლის შემდეგ გაიხსნა პირველი ხაზი.


ესმოდა რა მომენტის საზეიმო არსი, სემუელი დიდხანს ფიქრობდა, რომელი სიტყვები უნდა ყო-

ფილიცო პირველად გადაცემული. და ამოირჩია მუხ-ლი ბიბლიიდან: „აი რა შექმნა ღმერთმა!“ ამგარად გამომგონებელმა, რომელმაც ქედი მოიდრიკა უფლის დიდებულების წინაშე, მოული დიდება შემოქმედს მია-გო.“

ნახევარი წლის შემდეგ დამუშავებული იქნა სახელგანთქმული მორზეს ანბანი, რომელიც შედგებოდა მოკლე და გრძელი სიგნალების შეხამებით, ანუ წერტილებისა და ტირებების კომბინაციით. ასე დაიწყო ელექტრომაგნიტური ტელეგრაფის ისტორია, რომელიც დღემდევ გრძელდება.

მალე შტატების მთელი ტერიტორია იქნა დაფარული სატელეგრაფო სადგნების ქსელით, ხოლო 1866 წელს დამყარდა სატელეგრაფო კავშირი ევროპასა და ამერიკას შორის.

W H A T H A T H
G O D W R O U G H T
მორზეს პირველი შეტყობინების
ორიგინალი



მორზეს ტელეგრაფი და პატენტი, გაცემული
შტატების ხელისუფლების მიერ


მორზე ძალიან ცნობილი გახდა. დიდებასთან ერთად მატერიალური მდგომარეობაც გაუმჯობესდა. გამომგონებელი და მხატვარი თავის მამულში ცხოვრობდა. მთელი სიცოცხლის მანძილზე ის თავისი რწმენის ერთგული დარჩა, ხოლო სიცოცხლის ბოლო წლებში ის ქველმოქმედებაშიც ჩაერთო, ქმარებოდა საბუშვო სახლებს, საყადმყოფოებსა და საეკლესიო თემებს.

მორზე 81 წ. ასაქში გარდაიცვალა. ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკში დგას მორზეს ძეგლი: მისი მარცხენა ხელი დევს სატელეგრაფო აპარატზე, ხოლო მარჯვენას უკავია წერტილებისა და ტირებების ლენტა.

გზე

შეადგინა ე. მ.

1. ისრაელის პირველი მსაჯული (მსაჯ. 3:9)
2. დანიელის მეგობარი (დან. 3:12)
3. მორდექაის ბიძაშვილი (ესთ. 2:7)
4. ლაბანის ასული (დაბ. 29:16)
5. აზიის შვილი ეკლესიიდან ერთ-ერთი (გამ. 2:18)
6. მდინარე რომელშიც მოინათლა იქსო (მარკ. 1:9)
7. კაცი რომელიც დაბრმავდა დამასკოს გზაზე (საქ. 9:8)
8. იოანეს ძმა (საქ. 12:2)
9. ჭა რომელზეც დაობდნენ გერარელი და ისაკის მწყემსები (დაბ. 26:20)
10. მე ვარ, თქვენ კი - ლერწები (იოან. 15:5)
11. მოსეს ძმა (გამ. 4:14)
12. ისაკის საცოლე (დაბ. 24:64)
13. ადგილი, საღაც გამოიცადა იქსო (ლუკ. 4:4)
14. აბრაამის ძმისწული (დაბ. 14:12)
15. ნოეს ვაჟი (დაბ. 6:10)
16. საფირას ქმარი (საქ. 5:1)



ჩაწერ პასუხები
შზის სხივებში
პირველი ასოებით
წაიკითხ
ბიბლიური
მეხლიდა
დაიმახსოვრე

დაგივნე ჰიბრიური ოუბლი!

სტატიაში სემულ მორზეზე იპოვე
ტელგურაფით გადაცემული
პირველი შეტყობინება და
დაშიფრე ის მორზეს ანბანის
გამოყენებით.

ა	— —	ბ	• •	ც	• • •	ძ	— • • —
ბ	— • •	ვ	• — — —	უ	—	წ	• • — • •
გ	• — —	ძ	— • —	ვ	• • — —	კ	• • — —
დ	— — •	თ	• — • •	კ	• • — — •	ხ	• — — —
ე	— • •	ო	— — —	კ	• • • •	ჯ	— — — —
ვ	•	პ	— •	კ	— • — — •	ჟ	— — — —
ზ	•	ჟ	— — — —	ბ	— — • —	ჰ	— — — —
თ	• • • —	რ	• — — —	ბ	— — • —	ჰ	— — — —
ი	— — • •	ს	• — •	ც	— • — —	ჰ	— — — —
ო	— — • •	—	— — — —	—	— — — —	—	— — — —

რა მარია ეა?


1

მე ვლოცულობდი იმის
შესახებ, რომ ისრაელთან
ერთად შეესულიყავი
აღთქმულ მიწაზე, მაგრამ
უფალმა სხვაგვარად
ინება. მე მქვია _____.



2

მე არ მომეწონა
ხალხის მოთხოვნა
დამესვა მათვის
მეფე, და
ვვედრებოდი ამის
შესახებ უფალს. მე
მქვია _____.



3

როცა აგებულ იქნა
უფლის სახლა, მთელი
ხალხის თგაღწინ
აღვუგლინე ლოცვა
ღმერთს. მე მქვია _____.



მე შევთხოვე უფალს, რომ მას
სირიელებისათვის, რომლებიც გარს
ერტყნენ ჩვენს ქალაქს, სიბრძმავე
მოგვარა და უფალმა ასეც გააკეთა.
მე მქვია _____.

4



7

მე მოუხმე უფალს ჩემს
გასაჭირში, დიდი თევზის
მუცელში მყოფმა და
უფალმა შეისმინა ჩემი
ვედრება. მე მქვია _____.



5

ბაბილონიდან იერუსალიმში
დაბრუნების შემდგე,
მე სინანულის ლოცვა
აღვუგლინე ღმერთს
ხალხისათვის, რომელმაც არ
დაიცვა უფლის მცხებები. მე
მქვია _____.



6

შევიტყვე რა იბ დიდი უბედურებების
შესახებ, რომლებიც თავს
დაატყდათ იუდაში დარჩენილებს,
მე სუხაში მყოფი ვვედრუ უფალს
დახმარებისათვის. მე მქვია _____.



10

მე, წარმართს,
გამომეცხადა
ანგელოზი და
მითხრა, რომ
შესმენილია ჩემი
ლოცვები და რომ
პეტრე, მოუა და
გაუწევებს მე და ჩემს
ოჯახს ხსნის გზებს.
მე მქვია _____.



11

მე წინასწარმეტყველი ქალი,
დღე და დამ ვემსახურებდი
ტაძარში უფალს ლოცვითა და
მარწვით. მე მქვია _____.



12

ვუმოწმებდი რა ჩემს ხალხს იესოს
შესახებ, უამბე მათ, რომ ტაძარში
ლოცვის დროს გამომეცხადა
იესო და გამგზავნა წარმართებთან
საქადაგებლად. მე მქვია _____.




20. ჩი ჩის և ქვეყნის მისამართი

პავლე, ხუთი წლის პატარა ბიჭი, იდგა პარკის ბილიკზე და ხელში ეკავა ორთქმავალი, რომელიც მას ახლახან აჩუქეს. ორთქმავალი ნამდვილს ჰგავდა, მისი ბორბლები ბრუნვდა. უეცრად მასთან მიირბინა უცნობმა გოგონამ — ძალიან პატარამ, ბაფოებით თავზე და სცადა ორთქმავალი გამოეტაცა ხელიდან: „მომეცი, მინდა რომ ვითამაშო!“ პავლე არ განძრეულდა, თუმცა უცნობი გოგონა არ ჩერდებოდა. და მოულოდნელად, თითქმის არსაიდან გამოჩნდა დედამისი, და დაიყვირა:

„ლუდა, გაჩერდი! თორუებ გცემს!“ ამ დროს პავლემ გაუწოდა გოგონას ორთქმავალი და მშვიდად უთხრა: „აიღე, ითამაშე.“ გოგონას დედა გაოცებისგან შეჩერდა და ჩუმად თქვა: „უცნაური ბიჭია, სადაურია ნეტავ.“

ჩეეულებისამებრ ჩვენ სიტყვებს „უცნაურია, ამ ქვეყნისაგან არ არის“ ვამბობთ მაშინ, როცა ვხვდებით ისეთ ადამიანს, ვინც, ნაცვლად იმისა, რომ ძალით გაიკაფოს გზა, თმობს, ნაცვლად იმისა, რომ იჩხუბოს, იღიმება. ასეთი ადამიანები, როგორც წესი არ უსმენენ ახალ ამბებს და არც უკანასკნელი სათეხბბურთო შეხედრების ანგარიშები იციან, სამაგიეროდ მათგან სითბო და სიკეთე მოედინება და მათთან ურთიერთობა ძალიან სასიამოვნოა. ისინი არ სვამენ ლუდს, არ ხმაურობენ, არ ყვირიან, მოკლედ უცნაურები არიან.

ასეთი ადამიანები ყოველთვის იყვნენ რუსეთში. მათ ხან ნეტარებს ეძახდნენ, ხან სექტანტებს, ხან „რასაკოლნიკებს.“ ისინი ვერ ჯდებოდნენ ქცევის ჩეეულებრივ სტანდარტებში, მათ თავს არიდებდნენ, ლანძღვავდნენ თუმცა გულში პატივს სცემდნენ. ცნობილი რუსი მწერალი ნიკოლაი ლესკოვი მათზე ასე წერდა: „ვინც იკითხა ბიბლია და ქრისტემდე წაიკითხა.“ ასეთებისაგან რეზონული (მართუბული) ქცევის მკაცრი მოთხოვნა არ შეიძლება; სამაგიეროდ ასეთი ადამიანები, როგორც სალოსები, — უცნაურობენ, არავის ზიანს არ



„ფუხობორების“ დასახლება საქართველოში, 1893 წ.

აყენებენ და არც არავის ეშინია მათი.“

XVIII-XIX საუკუნეებში რუსეთის იმპერიაში, სადაც, ყველა რუსი ოფიციალურად ვალდებული იყო ყოფილიყო მართლმადიდებელი ეკლესიის წევრი, გამოჩნდნენ არცთუ ისე მცირე რაოდენობის ასეთი „უცნაური ადამიანიები“, რომლებსაც არ უნდოდათ, რომ რწმენა მხოლოდ რელიგიური წესების შესრულება ყოფილიყო და ეძებდნენ პირად ურთიერთობას ქრისტესთან.

ასე გამოჩნდნენ „მოლოკანები“, რომლებსაც თავის ცხოვარებაში მხოლოდ ღვთის სიტყვით, ანუ „უმწივესობა, სულიერი რძით“ სურდათ ქელ-მძღვანელათ; „დუხობორები“, რომლებიც ორიენტაციას იღებდნენ სული-წმიდის პირად გამოცხადებებსა და წინასწარმეტყველებაზე, და მრავალი სხვა ღმერთის მაძიებელი. სახელმწიფო ხელისუფლება მკაცრად უსწორდებოდა მათ, მღვდლები მათ ეძახდნენ სექტანტებს, შტუნდისტებს, განდგომილებს. მათ უსწორდებოდნენ საკუთარი ინიციატივით, „როზგავლენები“, ართმევდნენ შვილებს და ძალით აგზავნიდნენ მონასტრებში „ხელახლა“ აღზრდისათვის. მაგრამ სექტანტები



რუსი მოლოკანები
ვინიკეგში. 1905 წ.

ლოცულობდნენ თავიანთ შემავიწროებლებზე და ყველას ეუბნებოდნენ, რომ „ქრისტეს უყვარდა ისინი და ჩვენც გვიძრძანა გვიყვარდეს ერთმანეთი.“ ასე ჩამოყალიბდა სახარებისეული მოძრაობა რუსეთში. და თუმცა ბეკრს ამ ჯგუფთაგან მთლად ზუსტად არ ესმოდა წერილი, ისინი ამზადებდნენ გამოღვიძებას, რომელიც რუსეთის იმპერიაში დაიწყო XIX საუკუნის მეორე ნახევარში (კავკასიაში, უკრაინაში და რუსეთის ცენტრალურ ნაწილში).

კავკასიაში, ობილისში, პირველი რწმენით მონათლული 1867 წ. იყო ნიკიტა ვორონინი. უკრაინაშიც ბეკრ ადგილზე, სადაც ადამიანები, კითხულობდნენ ბიბლიას, მოვიდნენ სახარებისეულ შეხედულებებამდე. ყველაზე ადრეული გამოღვიძება დაფიქსირებულია სოფ. ოსნოვოში, ოდესასთან ახლოს, სადაც შრომობდნენ ქმები ონიშენკოები და რატუში. ძალიან აქტიურად ვითარდებოდა სახარებისეული მოძრაობა ახლანდელი კიროვოგრადის ახლო-მახლო სოფლებში, სადაც ეფიძ ციმბალმა ნათლობა 1869 წ. მიიღო.

საინტერესოდ იწყებოდა სახარებისეული გამოღვიძება რუსეთის იმპერიის დედაქალაქ – პეტერბურგში. აქ, ამ მოძრაობაში მოიცვა ძირითადად დიდგვაროვანთა წრე. ყველაფერი დაიწყო ინგლისელი კაცით, ლორდი გრუნვილ როდსტოკით,





პრესვიტერი მ. რაჭუშნი,
ქადაგერდა სოფ.
„ოსნოვოში.“



რომელიც პეტერბურგში 1874 წ. ჩავიდა. მისი უცნაურობა მაღვე შენიშნეს – ის არ თამაშობდა ბანქოს, არ ცეკვავდა ბალ-მასკარადებზე, განმარტოვდებოდა ხოლმე კუთხეში და ქადაგებდა ღვთის სიტყვას. თვითმხილველები ამბობდნენ, რომ ლორდი სულაც არ ყოთილა მჭერმეტყველი კაცი, ის უბრალოდ კითხულობდა წერილს და ხსნიდა ბიბლიურ ჭეშმარიტებას მონანიების შესახებ. თუმცა მისი ქადაგების შემდეგ, ბევრი დიდგვაროვანი – ინანიებდა. განსხვავებით იმ დროის სხვა ცნობილი მქადაგებლებისგან როდსტოკი გამოირჩეოდა არა მჭერმეტყველებით, არამედ სულის სიძლიერით, რომელიც მისგან გამოდიოდა. ასე დაიწყო სახარებისეული გამოღვიძება პეტერბურგში და შემდეგ გვრცელდა სხვა ქალაქებშიც.

თბილისის ხედი. მხატვარი ი. აივაზოვსკი. 1869 წ.



ივან ტურგენე



3. პ.

დაბადება. თავი 12 (ძვ. წ. მეორე ათასწლეული).



წყლის
მოსაპოვებლად
საჭირო იყო
ჰებბის ამოთხრა.
იპოვე ორი ქალი,
რომლებიც დავობენ
ჭის გამო.



ქალები ართავდნენ
ცხვრის მატყლს
და ამზადებდნენ
ბაწარს. იპოვე
მრთველი და
მქსოველი.



ხარშავდნენ
კოცონზე, რომლის
ირგვლივ ქვები იყო
შემოლაგებული.
იპოვე კვერუბი
ქვებზე რომ ცხვება.




უცხოელებს
სთავაზობდნენ
დამის გასათევსა
და საჭმელს.
იპოვე სამი კაცი
უცხოელის
სამოსით.



კბილის საიმოვანი

ისრაელიანების ისტორია, როგორც ადრე
უწოდებდნენ ებრაელებს, იწყება აბრაამით.
ბიბლიაში დაწერილია, რომ ღმერთმა უბრძანა
მას დაეტოვებინა თავისი შშობლიური ქალაქი
მესოპოტამიაში, და დასახლებულიყო ახალ

ადგილზე, ქანანის ქვეყნაში. აბრაამა მოაგროვა
მთელი თავისი ქონება, თან წაიყვანა ოჯახის
წევრები და მსახურები და როგორც მომთაბარე
თავის ფარუბთან ერთად გაემართა იქით, სადაც
იყო კარგი საძოვრები.



თხა გაიხლართა
ეკლიან ბუჩქნარში.
ხედავ მას?



იპოვე მოვაჭრე თავის
ქარავანთან ერთად.
რამდენ ვირს ხედავ?




ასეთ სამსხვერპლოზე
წვავდნენ მსხვერპლებს.
იპოვე სამსხვერპლო
ხეებს შორის.



ხედავ ბიჭს, ვისაც
მხრებზე უზის
თავისი ძმა?



თხის ტყავებისგან
ამზადებლენ ტიკებს
ღვინისთვის. იპოვე ორი
ასეთი ტიკი.



ნახატი პ. კ.

იპოვე ჩვილი
ჩამოსაკიდ
აკვანში.




იპოვე ორი კაცი,
რომლებიც
შევილდითა და
შუბებით მიდიან
სანადიროდ.



იპოვე ორი გოგონა.
ერთი არფაზე
უკრავს, მეორე
მღერის.



კაცები
ატარებდნენ
მოხატულ
კაბებს.
შვეიძლია
იპოვო 5
ასეთი კაბა?



იპოვე ადამიანი,
რომელიც
წველის თხას.



იპოვე მსა-
ხური ქალი,
რომელიც
საყვედურს
იღებს ქალ-
ბატონისგან.

ქანაანელები
ცხოვორდენენ
ქვის კედლებით
გარშემორტყმულ
ქალაქებში. ხედავ
მათ ქალაქს?

კარიბების დეილასტან

ათი წლის ტყუპები დანა და კოსტია ზაფხულის არდადეგების დროს სტუმრობდნენ დეიდასთან. სახლში დაბრუნებული ბავშვები დიდი წნის მანძილზე უყვებოდნენ მშობლებს, უმცროს მმასა და დას საინტერესოდ გატარებულ დროზე.

დეიდა ლენას და ბიძას რომანს არ ჰყავდათ თავიანთი შვილები, და ისინი ზანდახან იწვევდნენ თავისთან დისტვილებს არდადეგების დროს რამდენიმე კვირით. ბიძას რომანი ფოტოგრაფი იყო, ასრულებდა შეკვეთებს შურნალებისა და გაზეთებისთვის. ბავშვებს მოსწონდათ მრავალრიცხოვანი ფოტოების დათვალიერება ბიძას კომპიუტერში. ოუმცა კოსტიასთვის გაცილებით საინტერესო იყო, თან თუ გაპყვებოდა ბიძა რომანს, მაგალითად, ტყეში დილით ადრე, სადაც ისინი, მიმაღლულები, აკვირებოდნენ ცხოველებს, ანდა ნავში თუ ჩასხდებოდნენ და საათობით იცურავებოდნენ მდინარის ნაპირებზე და მოიხილავდნენ ლამაზ პეზავებს. ამ დროს ბიძა რომანი ფოტოებს იღებდა. ზანდახან ის კოსტიასაც სთავაზობდა ფოტოაპარატს, რომ მასაც გადაეღო ფოტოები. შემდეგ ისინი ერთად ამუშავებდნენ ფოტოებს, რაც კოსტიას დიდ სიამოვნებას ანიჭებდა.

დანა კი თავისი დეიდის გულკეთილობითა და გულისხმიერებით იყო მოხიბლული, ის ყოველთვის მზად იყო დახმარებოდა ირგვლივ მყოფ გაჭირვებულებს. დეიდა ლენას მრავალშვილიანი ოჯახებისთვის მიპქონდა პროდუქტები და ქმარებოდა სახლის საქმეებში. სხეულების მონახულებისას უკითხავდა მათ ბიძლიურ ამბებს და უყვებოდა ღმერთის სიყვარულის შესახებ. დეიდა ლენას უყვარდა საჭმელების, უჩვეულო საჭმელების მომზადება და სიამოვნებით უმასპინძლდებოდა სხვებს. ადამიანები ამაში მათ მიმართ სიყვარულის გამომჟღვებას ხედავდნენ და ძალიან მაღლიერები იყვნენ დახმარების-თვის. დანამ ბევრი რამ ისწველა დეიდა ლენასგან.

ერთხელაც, როდესაც ბიძა რომანის დაბადების დღე იყო, დეიდა ლენამ მოაშადა შემწვარი ნესვი ხორცით. დანას ძალიან მოქონა ეს კერძი. მაგიდასთან ყოფნისას დეიდა ბევრ საინტერესო რომანი რამებს უვებოდა ნესვების შესახებ. მაგალითად: რომ კუკასიაში მოჰყავთ მცირე ზომის ნესვი, რომელიც გემოთი მარწვევს წააგავს. ხოლო ტაჯიკური ორმეტრიანი ნესვი ტარა ნაოჭებიანი კანით მოგაგონებს გიგანტურ ქვეწარ-მავალს. და კიდევ არსებობს მცენარე, რომელისაც ქწოდება „მწარე ნესვი,“ თუმცა მისი ნაყოფი ნესვეს სულაც არ ჰგავს. „მწარე ნესვეს“ მისი სამკურნალო თვისებების გამო იყენებენ მედიკამენტების წარმოებისთვის. ეს ყველაფერი ბაჟშებს ძალიან აინტერესებდათ.

დანას და კოსტიას მშობლები ქმარებილები იყვნენ იმით, რომ ამ არდადეგებმა გააფართოვა მათი ბავშვების თვალსაწიერი. ხოლო დედამ თავადაც მოიწადინა მოეშადებინა, შემწვარი ნესვი ხორცით, ძვილის მიერ ჩამოტანილი რეცეპტის მიხედვით.

ნესვი
ერთწლოვანი
მცენარეა
გოგრისებრთა
ოჯახიდან. ეს
არის სითბოს
მოყვარული
ბოსტნეული
კულტურა
კიტრების
ჯგუფიდან.



ნეტკა


ერთმა მცენარემ შეიძლება მოიხას ორიდან რვა ნაყოფმდე, რომლებიც ზომით 45 სმ-დან ორ მეტრამდე გაიზრდება (ეს დამოკიდებულია ჯიშე). ნაყოფები — ცრუ ქვერა (ისევე როგორც საზამთრო) წონით 200 გრამიდან 20 კგ-მდეა. ფორმით ნესვები არა მხოლოდ მრგვალები ან ოვალურები არიან, არამედ წაგრძელებულებიც. მათი შეფერილობა შეიძლება იყოს ყვითელი, მწვანე, ყავისფერი ანდა თეთრი.

ნესვეს აფასებენ მაღალი საგემოვნო და არაჩვეულებრივი დიეტური თვისებების გამო. ის გამოიყენება ახალმოკრეფილი. ოუმცა შესაძლოა მისი გახმობა, მარინირება, გაშრობა და ცუკატის გაკეთება. მას აშატებენ ფაფებში, ნაყინში, გამოიყენებენ შიგთავსად ნამცხვრებში. ნესვისგან ხარშვენ მურაბას, ჯემს, მარმელადს. არსებობს ნესვის 500-მდე ჯიში.


თურქმენეთში აგვისტოს მეორე კვირა დღე ითვლება ეროვნულ დღესასწაულად — თურქმენული ნესვის დღედ.



ნახატი ა. ბ.



საფრანგეთის მეფე ჰენრის IV-მ ნესვეს სასამართლოში უჩველა იმის გამო, რომ ერთ-ერთი ტრაპეზის დროს მას ნესვმა კუჭი მოუშალა. ნესვი საჯაროდ აღიარეს დამნაშავედ მეფის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო და გადასცეს წეველას. ოუმცა გარკვეული დროის შემდეგ ეს ისტორია დაივიწევს და კელავ დაიწყეს ნესვის გამოყენება საჭმელად.



ნესვის ისტორიიდან

ნესვი პირველად ნახსენებია ბიბლიაში (რცხ. 11:5). ნესვის სამშობლოდ ითვლება შუა და მცირე აზია, შესაძლოა აფრიკაც. ცნობილია, რომ მას ზრდილნებ ჯერ კიდევ ძველ ევკიპტეში. ევროპაში ნესვის შესახებ შეიტყვეს შუა საუკუნებში. XIX საუკუნეში ინგლისში ნესვის გაზრდა დაიწყეს სათბურებში.

ვ. ც.

კალაპარის უდაბნოში ჰეპარდებს შეუძლიათ გასძლონ 10 დღე, და ამ დღეებში მხოლოდ ნესვი ჭამონ.

ნესვები მხოლოდ ტებილი არ არის. იმ ჯიშებს, რომლებიც არ არის ტებილი და რომლებიც ფორმით დიდ კიტრებს გვაგონებს და გამოიყენება საკებად, როგორც კიტრი, ზრდიან ინდოეთში იაპონიაში და სომხეთში.


გვიპტელები ნესვებს ტოვებდნენ პირამიდებში ფარაონების მუმიების გვერდით.



၃. ဧ. 12 წြေး၊ နားနှိပ်




၃. ဧ. 13 წြေး၊
ရွှေးခြား



၃. ဧ. 8 წြေး၊ ဗုရာဝန်

22-23 ဂျောက်လျော်စီး
အပေါ်အမြတ် စာတွေများ




၁၂ ဂျောက်လျော်စီး ၁၃ ဒုက္ခန်း
အပေါ်အမြတ် ၁၄ မြတ်စွာလျော်စီး
၁၅ မြတ်စွာလျော်စီး ၁၆ မြတ်စွာလျော်စီး
၁၇ မြတ်စွာလျော်စီး ၁၈ မြတ်စွာလျော်စီး
၁၉ မြတ်စွာလျော်စီး ၂၀ မြတ်စွာလျော်စီး
၂၁ မြတ်စွာလျော်စီး ၂၂ မြတ်စွာလျော်စီး
၂၃ မြတ်စွာလျော်စီး ၂၄ မြတ်စွာလျော်စီး
၂၅ မြတ်စွာလျော်စီး ၂၆ မြတ်စွာလျော်စီး
၂၇ မြတ်စွာလျော်စီး ၂၈ မြတ်စွာလျော်စီး
၂၉ မြတ်စွာလျော်စီး ၃၀ မြတ်စွာလျော်စီး
၃၁ မြတ်စွာလျော်စီး ၃၂ မြတ်စွာလျော်စီး

၁၂ ဂျောက်လျော်စီး ၁၃ ဒုက္ခန်း
အပေါ်အမြတ် ၁၄ မြတ်စွာလျော်စီး
၁၅ မြတ်စွာလျော်စီး ၁၆ မြတ်စွာလျော်စီး
၁၇ မြတ်စွာလျော်စီး ၁၈ မြတ်စွာလျော်စီး
၁၉ မြတ်စွာလျော်စီး ၂၀ မြတ်စွာလျော်စီး
၂၁ မြတ်စွာလျော်စီး ၂၂ မြတ်စွာလျော်စီး
၂၃ မြတ်စွာလျော်စီး ၂၄ မြတ်စွာလျော်စီး
၂၅ မြတ်စွာလျော်စီး ၂၆ မြတ်စွာလျော်စီး
၂၇ မြတ်စွာလျော်စီး ၂၈ မြတ်စွာလျော်စီး
၂၉ မြတ်စွာလျော်စီး ၃၀ မြတ်စွာလျော်စီး
၃၁ မြတ်စွာလျော်စီး ၃၂ မြတ်စွာလျော်စီး


၃၃ မြတ်စွာလျော်စီး ၃၄ မြတ်စွာလျော်စီး
၃၅ မြတ်စွာလျော်စီး ၃၆ မြတ်စွာလျော်စီး
၃၇ မြတ်စွာလျော်စီး ၃၈ မြတ်စွာလျော်စီး
၃၉ မြတ်စွာလျော်စီး ၄၀ မြတ်စွာလျော်စီး
၄၁ မြတ်စွာလျော်စီး ၄၂ မြတ်စွာလျော်စီး
၄၃ မြတ်စွာလျော်စီး ၄၄ မြတ်စွာလျော်စီး
၄၅ မြတ်စွာလျော်စီး ၄၆ မြတ်စွာလျော်စီး
၄၇ မြတ်စွာလျော်စီး ၄၈ မြတ်စွာလျော်စီး
၄၉ မြတ်စွာလျော်စီး ၅၀ မြတ်စွာလျော်စီး
၅၁ မြတ်စွာလျော်စီး ၅၂ မြတ်စွာလျော်စီး
၅၃ မြတ်စွာလျော်စီး ၅၄ မြတ်စွာလျော်စီး
၅၅ မြတ်စွာလျော်စီး ၅၆ မြတ်စွာလျော်စီး
၅၇ မြတ်စွာလျော်စီး ၅၈ မြတ်စွာလျော်စီး
၅၉ မြတ်စွာလျော်စီး ၆၀ မြတ်စွာလျော်စီး
၆၁ မြတ်စွာလျော်စီး ၆၂ မြတ်စွာလျော်စီး
၆၃ မြတ်စွာလျော်စီး ၆၄ မြတ်စွာလျော်စီး
၆၅ မြတ်စွာလျော်စီး ၆၆ မြတ်စွာလျော်စီး
၆၇ မြတ်စွာလျော်စီး ၆၈ မြတ်စွာလျော်စီး
၆၉ မြတ်စွာလျော်စီး ၇၀ မြတ်စွာလျော်စီး
၇၁ မြတ်စွာလျော်စီး ၇၂ မြတ်စွာလျော်စီး
၇၃ မြတ်စွာလျော်စီး ၇၄ မြတ်စွာလျော်စီး
၇၅ မြတ်စွာလျော်စီး ၇၆ မြတ်စွာလျော်စီး
၇၇ မြတ်စွာလျော်စီး ၇၈ မြတ်စွာလျော်စီး
၇၉ မြတ်စွာလျော်စီး ၈၀ မြတ်စွာလျော်စီး
၈၁ မြတ်စွာလျော်စီး ၈၂ မြတ်စွာလျော်စီး
၈၃ မြတ်စွာလျော်စီး ၈၄ မြတ်စွာလျော်စီး
၈၅ မြတ်စွာလျော်စီး ၈၆ မြတ်စွာလျော်စီး
၈၇ မြတ်စွာလျော်စီး ၈၈ မြတ်စွာလျော်စီး
၈၉ မြတ်စွာလျော်စီး ၉၀ မြတ်စွာလျော်စီး
၉၁ မြတ်စွာလျော်စီး ၉၂ မြတ်စွာလျော်စီး
၉၃ မြတ်စွာလျော်စီး ၉၄ မြတ်စွာလျော်စီး
၉၅ မြတ်စွာလျော်စီး ၉၆ မြတ်စွာလျော်စီး
၉၇ မြတ်စွာလျော်စီး ၉၈ မြတ်စွာလျော်စီး
၉၉ မြတ်စွာလျော်စီး ၁၀၀ မြတ်စွာလျော်စီး



მისა „შუქი
აღმოსავლეთში“



დ. დ. 7 წლის, უკრაინა



ე. ჯ. 10 წლის, რუსეთი



გ.გ. 10 წლის, უკრაინა

საბავშვო ქრისტიანული უურნალი
გამოდის 1990 წლიდან.

მთავარი რედაქტორი:
ვალდემარ ბახეცელი

რედაქციის მისამართი გერმანიაში:
LICHT-IM-OSTEN, Postfach-1340,
70809-Kotmal, GERMANY.

ტელ: 49 711 839908-23;

ფაქსი: 49 711 839908-4.

E-mail: ezom@lio.org

სკოლის დაწყებითი და შუა კლასების
ბავშვებისათვის

ქართული გამოცემის რედაქტორი:
ლუხუმ მაისურაძე

კომპიუტერული დამუშავება:

დათო მაისურაძე, თაკო მაისურაძე

მისამართი: ქ.თელავი. დადიანის 8
ტელ: 551 22 02 60

ელ ფოსტა: lukhummaisuradze@yahoo.com

Facebook page: საბავშვო უურნალი „ბილიკი“
დაბეჭდილია სტამბა „სეზანი“

ISSN 1987-72 O X

UDC 0875050 (47922) ბ 676

გვ. 3 ვიქტორინა: 1/ა, 2/გ, 3/გ, 4/ბ, 5/ა, 6/ბ, 7/ბ, 8/გ.

გვ. 18 კროსვორდი: 1. ღოთვიელი. 2. მეშაქი. 3. ესთერი. 4. რახელი. 5. თიატირა. 6. იორდანე.
7. სავლე. 8. იაკობი. 9. ყესეკი. 10. ვაზი. 11. აარონი. 12. რებეკა. 13. უდაბნო. 14. ლოტი. 15. იაფეთი.
16. ანაია.

გვ. 18 გაშიფრე მუხლი: „აი რა შექმნა ღმერთმა!“

გვ. 19 რა მქონა მე: 1. მოსე. 2. სამუელი. 3. სოლომონი. 4. ელისე. 5. ეზრა. 6. ნეემია. 7. იონა.
8. ზაქარია. 9. იესო. 10. კორნელიუსი. 11. ანნა. 12. პავლე.



ISSN1987-720X

9 771987 720007